ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სწავლების სტრატეგია კორონავირუსის თავიდან აცილების მიზნით შექმნილი ვითარების გამო

1. ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით კონტაქტური ურთიერთობების მაქსიმალურად შემცირების უზრუნველსაყოფად ფაკულტეტი გამოიყენებს ელექტრონული სწავლების კომპონენტებს.
2. თსუ-ის რექტორის 25.03.2020 წლის N67/01-01 ბრძანების საფუძველზე ფაკულტეტზე დეკანის ბრძანებით შეიქმნება ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია სასწავლო პროცესისი დაგეგმვასა, მონიტორინგსა და შეუფერხებლად წარმოებაზე.

3. ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამები:

პირველ ეტაპზე გადავლენ ასინქრონულ ელექტრონულ სწავლებაზე. კერძოდ, ფსიქოლოგიის, ოკუპაციური თერაპიის და მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამების ყველა საგანი გახსნილია moodl-ის პლატფორმაზე. მულტილინგვური განათლების პროგრამა იყენებს lms -ს.

პროფესორ- მასწავლებლები ვალდებულები არიან moodl-ის პლატფორმაზე ატვირთონ:

- სილაბუსით გათვალისწინებული ყოველკვირეული სასწავლო მასალები: რიდერი, სახელმძღვანელო, ვიდეომასალის ლინკი, პრეზენტაცია/ პრეზენტაცია პოდკასტით/, სურვილისამებრ შეუძლიათ ატვირთონ ვიდეოლექცია ონლაინ ლექციის მაგივრად (ვიდეოლექციის შესაბამისი ლინკი).
- დავალებები, რომელსაც დისტანციურ რეჟიმში გაასწორებენ/შეაფასებენ.
  მეორე ეტაპზე (იწყება 6 აპრილს) - დაემატება სინქრონული სწავლების კომპონენტის - zoom-ის აპლიკაციის გამოყენებით კურსების ონლაინ რეჟიმში გადაყვანა.;
- დამტკიცებული ცხრილის მიხედვით ჩატარდება ლექციები;
- ლექციის ფორმატია: ლექციის ონლაინ რეჟიმში ჩატარება zoom-ის აპლიკაციის გამოყენებით სინქრონულად, ან მუდლის პლატფორმაზე ატვირთული ლექციის ვიდეო/აუდიო/პოდკასტის ჩანაწერის სახით ასინქრონულად;
- სემინარის ფორმატი შესაძლებელია იყოს ასინქრონულ და/ან სინქრონულ რეჟიმში.
  ა. ასინქრონულ რეჟიმში: სტუდენტების გამოკითხვის ეკვივალენტი იქნება მუდლის პლატფორმაზე დავალებების შესრულება, რის საფუძველზეც მოხდება სტუდენტის დასწრება/აქტივობის შეფასება. ამ შემთხვევაში სინქრონულ რეჟიმში სემინარზე დრო დაეთმობა ძირითადად სტუდენტების შეკითხვებზე პასუხს, განმარტებებს და დისკუსიას. შესაბამისად, თუ ონლაინ რეჟიმში სტუდენტთა გამოკითხვა არ წარმოებს, დასაშვებია, სემინარის ხანგრძლივობა საკონტაქტო დროით გათვალისწინებული დროის ნახევარს წარმოადგენდეს.
  ბ. სინქრონულ რეჟიმში: პროფესორ-მასწავლებლის არჩევანისა და ტექნიკური შესაძლებლობის ფარგლებში სტუდენტი შეფასდება ზეპირი გამოკითხვის ფორმით ონლიან რეჟიმში, ხოლო მათი შეფასება დაფიქსირდება LMS-ის ჟურნალში.

- პედაგოგი ვალდებულია დაგეგმოს თავისი ლექცია-სემინარები ზუმში, ID და პაროლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაუზიაროს თავის ჯგუფს LMS შეტყობინებით, ან moodl-ზე გახსნილ სალექციო კურსის ფორუმზე.
- ლექტორები ვალდებულები არიან სტუდენტებს დროულად მიაწოდონ შესასრულებელი დავალებების/ აქტივობების ვადები და გასწორებული დავალებები / ნამუშევრები.
- პედაგოგები და სტუდენტები კომუნიკაციისთვის სარგებლობენ მხოლოდ „თსუ"-ის ელექტროფოსტით.
- პედაგოგი ვალდებულია ლექციის საინდენფიკაციო ბმული, ID და პაროლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაუზიაროს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს შემდგომში მონიტორინგის მიზნით.

4. ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამები გადადიან შერეულ ასინქრონულ/სინქრონულ ელექტრონულ სწავლებაზე.

ასინქრონულ რეჟიმში მასწავლებლები ვალდებულები არიან :

- *ატვირთონ* სასწავლო მასალები (საკითხავი მასალა/პრეზენტაცია/ვიდეოლინკები/სტატიები და ა.შ.);
  - დისტანციურ რეჟიმში გაასწორონ/შეაფასონ დავალებები;
  - *სინქრონულ რეჟიმში მასწავლებლები გამოიყენებენ zoom-ის აპლიკაციას, ასევე moodl-ის შესაბამის ინტერაქციული კომუნიკაციის ფუნქციებს.*
  - სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა იწარმოებს სინქრონულ და/ან ასინქრონულ რეჟიმში.
  - ასინქრონულ რეჟიმში სტუდენტები გააგზავნიან თავიანთი სამუშაოს ნაწილს მუდლის პლატფორმაზე, ხელმძღვანელი კი უზრუნველყოფს კომენტარებს.
  - სინქრონულ რეჟიმში, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი კონსულტაციას გაუწევს სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით.

5. ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამები გადადიან სინქრონულ ელექტრონულ სწავლებაზე და ამისათვის იყენებენ zoom-ის აპლიკაციას.

6. სასწავლო პროცესის მონიტორინგს განახორციელებს ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფი:

- სასწავლო პროცესი მინდინარეობს დადგენილი და შეთანხმებული ცხრილების მიხედვით, რომელიც ატვირთულია ფაკულტეტის ვებგვერდზე.
- Moodl-ის პლატფორმაზე სტუდენტებისა და ლექტორის მიერ დავალებების შესრულება-გასწორების მონიტორინგს განახორციელებს ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფის წარმომადგენელი;
- ცენტრალიზებულად შედგება ზუმის კალენდარი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისთვის - ცხრილში ყველა საგანზე სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისთვის ცნობილი იქნება შესაბამისი ლინკის ID.
- Zoom-ის აპლიკაციაში საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ყველა საგანში დაემატება ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფის წარმომადგენელი, რომელიც მონიტორინგს გაუწევს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას.

სტუდენტები ვალდებული არიან:

1. zoom-ის აპლიკაციაში შემოვიდნენ თავისი გვარით და სახელით ისე, რომ ლექტორს შეეძლოს მათი იდენტიფიკაცია.
2. ასინქრონულ რეჟიმში moodl-ის პლატფორმაზე ატვირთონ სილაბუსით გათვალისწინებული მიმდინარე დავალებები.
3. მონაწილეობა მიიღონ სინქრონულ რეჟიმში ჯგუფის მუშაობაში.

7. **შეფასება:**
   - სილაბუსებში არსებული შეფასების ისეთი კომპონენტები, როგორიცაა ესე, პრეზენტაცია, საშინაო დავალება და ა.შ. შესრულდება moodl-ის (გამონაკლის შემთხვევაში LMS-ის) გამოყენებით და შეფასდება ახალი შეფასების შესაბამისად, რომელიც განთავსდება Moodl-ის პლატფორმაზე და გაიგზავნება ფაკულტეტის და თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.
   - არსებული მდგომარეობის გახანგრძლივების შემთხვევაში, შუალედური გამოცდა/გამოცდები ჩანაცვლდება შემდეგნაირად:
   - ფინალურ გამოცდისთვის განკუთვნილი ქულები დარჩება უცვლელი;
   - შუალედური გამოცდის ქულები ჩანაცვლდება ახალი დავალებებით: პრეზენტაცია, ესე, ქეისი, საშინაო დავალება ან ნებისმიერი სხვა სახის წერითი დავალებით.
   - ასინქრონულ რეჟიმში სამუშაო ჯგუფში დასწრება/აქტივობის ეკვივალენტურია მუდლის პლატფორმაზე განთავსებული სხვადასხვა სახის წერითი დავალება, რომლის შეფასების კრიტერიუმები მისწავდომია სტუდენტებისთვის კურსის ელექტრონული სწავლების პლატფორმაზე. შესაძლებელია სინქრონულ რეჟიმში სამუშაო ჯგუფში დასწრება/აქტივობა შეფასება, რომელიც დაფიქსირდება LMS ჟურნალში.
   - დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მინიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 21 ქულა.

8. სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის გადამოწმება მოხდება აკადემიური კეთილსინდისიერების პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით, რაც ინტეგრირებულია დისტანციური სწავლების პროგრამაში.

9. კონტაქტური სწავლების აღდგენიდან დარჩენილ სასწავლო პერიოდში, საჭიროების შემთხვევაში. შესაძლებელი იქნება ლექცია-სემინარების აღდგენის დამატებითი ცხრილის შედგენა შაბათ-კვირის ხარჯზე ფაკულტეტის როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამებზე.

10. პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა უნდა დაიცვან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი, ასევე კიბერუსაფრთხოების წესები. ლექცია-სამინარების ვიდეოჩანაწერები, ლინკები, ID და პაროლები არ უნდა გაზიარდეს სოციალური მედიის ან ნებისმიერი სხვა საშუალებით საშუალებით, არ უნდა გადაეცეს მესამე პირს. პირადი მონაცემების გადასაცემად გამოყენებულ იქნას მხოლოდ LMS და moodl-ის პლატფორმა.

11. პედაგოგიური პრაქტიკა - დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებს ფაკულტეტთან მემორანდუმის მქონე სკოლის პედაგოგები ჩართავენ ონლაინ გაკვეთილებში, ამით ისინი გაივლიან პასიურ პრაქტიკას; სტუდენტთა პრაქტიკის შესაბამისი ცხრილი მიეწოდება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. სტუდენტები შეიმუშავებენ გაკვეთილების სრულ გეგმებს და ჩააბარებენ სკოლის და უნივერსიტეტის შესაბამის მეთოდისტებს. ნებისმიერი სხვა სემესტრის სტუდენტებს პრაქტიკის კომპონენტი გადაუვადდებათ შემდდეგ სემესტრში.

12. პრაქტიკა განათლების პრაქტიკულ ფსიქოლოგიაში - პირველ ეტაპზე პრაქტიკულ ფსიქოლოგიაში მეცადინეობა ჩატარდება moodl-ის პლატფორმაზე, შემდეგ მოხდება ჩართვა სკოლის Microsoft Teams პროგრამაში.

13. პრაქტიკა ოკუპაციურ თერაპიაში - ჩატარდება ონლაინ ვიდეომასალის გამოყენებით, ქეისების განხილვით, სტუდენტებს მიეცემათ საშინაო დავალებები.

14. იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც სასწავლო პროცესით განსაზღვრულ ვადებში ვერ შეძლებენ სამაგისტრო ნაშრომის სრულად წარმოდგენას, სამაგისტრო ნაშრომების დაცვა გადავადდება სექტემბერში. სტუდენტები დადგენილ ვადებში გაივლიან წინადაცვას სამაგისტროს თეორიული და მეთოდური ნაწილის წარმოდგენით და შემდეგ შეასრულებენ სამაგისტროს კვლევით ნაწილს. მთლიანი სამაგისტრო ნაშრომის დაცვა მოხდება სექტემბერში.